

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და პოლიცია

მირანდა კაპანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო
პროგრამის ფარგლებში
საჯარო სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი, როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც მაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირანდა კაპანაძე

05.04.2019

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ქრილში პოლიციის როლის განხილვა.

გენდერული თანასწორობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული კონცეფციაა, რომელიც ემსახურება სქესის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ამისათვის სახელმწიფოებმა უნდა შექმნან შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა. სახელმწიფო ორგანოებმა კი უნდა უზრუნველყონ თანასწორობის იდეის პრაქტიკაში განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპზე.

საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფოს მიერ გადადმული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, რიგ სფეროებში, მათ შორის პოლიციაში არსებული მდგომარეობა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებს, სახელმწიფოს მიერ პრობლემასთან საბრძოლველად გადადმული ნაბიჯების შეფასებას და პოლიციის როლის დანახვას ამ ბრძოლაში.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 2015 წელი ქალთა წლად გამოცხადდა, ამან კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების ინტერესი და წინ წამოწია გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა. საქართველოს მთავრობამ გადადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გენდერულ უთანასწორობასთან საბრძოლველად. დამტკიცდა, გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, ჩამოყალიბდა პარლამენტის თავმჯდომარის აპარატთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია გენდერული თანასწორობის სამთავრობო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და სხვა სამართლებრივი აქტები გენდერული ნიშნით პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

უპირველესად, კვლევა იწყება იმ საკითხის გარკვევით თუ რას წარმოადგენს გენდერული თანასწორობა და რა როლი აქვს მას თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში. ვსაუბრობ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაზე საქართველოში, გაანალიზებული იქნება ბარიერები და რეკომენდაციები ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ცენტრალური ნაწილი ეთმობა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენდერული აუდიტის ანგარიშის განხილვას, ვეხები პოლიციის რეფორმას გენდერის ჭრილში და ამის ფარგლებში ვსაუბრობ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის შექმნის საკითხზე. ბოლოს, ნაშრომში განხილული საკითხების ანალიზის და შუალედური დასკვნების საფუძველზე მოცემულია დასკვნა.

Abstract

The aim of this thesis is to show the role of police when it comes to discrimination due to gender differences.

Gender equality is a concept acknowledged by international society. It aims at preventing any type of discrimination on the bases of gender difference. For this to work the governments must create appropriate body of law and state politics. Thereafter, the state authorities must facilitate the equality idea to be effectively integrated into all stages of social life.

Today Georgia still faces major challenges of maintaining women's rights and establishing gender equality. In spite of positive steps made by the state, in certain fields - including the police force, this situation is in need of utmost attention.

Presented master's thesis is about the topics of discrimination on the bases of gender difference, assessing the state's attempts to resolve the issue and seeing the role of police in the midst of it all.

It is indeed complimentary fact that, by the president's initiative the year of 2015 was named the year of women. This, in return, increased public interest and highlighted the importance of the topics related to gender equality. The government of Georgia made several significant developments against gender inequality. The state concept for gender equality was confirmed, the council for gender equality was created with close relation to parliament chairmen's office, interagency committee was created for establishing gender equality state

politics, Georgia's laws were confirmed: 'about gender equality', 'about preventing any kind of discrimination' and other legal acts against gender difference discrimination direct or indirect.

First and foremost, the research begins with understanding what is gender equality and what role it has in today's democratic society. I am speaking about implementing gender equality politics in Georgia, the barriers and recommendations related to the subject matter will be analyzed. A central part is held by reviewing the audit from ministry of internal affairs about gender equality. I am touching the topics of police reforms related to gender and within the subject's bounds I am speaking about creating society oriented police. At the end, there is an epilogue based on the topics analyzed in the thesis and drawn intermediate conclusions.